

შეთანხმება

სუუამის წევრ სახელმწიფოთა შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ

მოცემული შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები, შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი,

ცდილობენ რა თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე განავითარონ ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა.

ხელს უწყობენ რა მონაწილე სახელმწიფო ეკონომიკური პოტენციალის ზრდას ურთიერთხელსაყრელი კოოპერაციული კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების საფუძველზე,

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით, ნიადაგ აამაღლონ თავიანთი სახელმწიფოების მოსახლეობის ცხოვრების დონე,

ადასტურებენ რა ერთგულებას გარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების პრინციპებისადმი (გარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება/მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია).

უერთდებიან რა შეთანხმებას თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შემდგომში მხარეებად წოდებულს

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1. ხელშემკვრელი მხარეები მოცემული შეთანხმების მიზნების მისაღწევად ითანამშრომლებენ თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაქმნელად, რათა უზრუნველყონ, რომ

2. გააუქმონ ბაჟი, აგრეთვე ის გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებსაც მათი ექვივალენტური მოქმედება აქვთ და რაოდენობრივი შეზღუდვები ურთიერთვაჭრობაში;

დაძლიონ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მოძრაობისათვის შექმნილი სხვა დაბრკოლებები;

შექმნან და განავითარონ ვაჭრობისა და სხვა ოპერაციებისათვის ურთიერთთანგარიმსწორებისა და გადასახდელების ეფექტიანი სისტემა;

ითანამშრომლონ სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, რათა მიაღწიონ მოცემული შეთანხმების მიზნებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ფინანსების, ინვესტიციების, სოციალური სფეროს დარგში, აგრეთვე განავითარონ კეთილსინდისიერი კონკურენცია და ა.შ.

სრულყოფილი ხელშემკვრელ მხარეთა კანონმდებლობა იმგვარად, როგორც ეს აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობის სათანადო და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

2. მოცემული შეთანხმება გამოიყენება ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიებზე, როგორც ისინი განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით.

3. თუ ტერიტორიების მნიშვნელობა სპეციალურად არ არის განსაზღვრული შეთანხმებაში ან ხელშემკვრელ მხარეთა სხვა მორიგებით, მათი გაგებისათვის ხელშემკვრელი მხარეები იხელმძღვანელებენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა უფლების შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციისა და გატგ/მსო-ს შეთანხმებების

დებულებებით.

შეთანხმების ან მისი ცალკეული ტერმინების გაგებასთან დაკავშირებით ამრთა სხვადასხვაობა უნდა გადაწყდეს მოცემულ შეთანხმებასთან დაკავშირებულთათვის მოწესრიგებისათვის მიღებული პროცედურის წესით.

4. ხელშემკვრელი მხარეები თავს შეიკავებენ მოცემული შეთანხმების, დებულებების საწინააღმდეგო და მისი მიზნების მიღწევისათვის ხელისშემშლელი მოქმედებისაგან. ეს დებულება ეხება, კერძოდ, სხვა რეგიონალურ ეკონომიკურ დაჯგუფებებში ხელშემკვრელ მხარეთა მონაწილეობის პირობებს, აგრეთვე შეთანხმების ფარგლებში ურთიერთობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2

შეთანხმების დებულებათა შესრულებისათვის ხელშემკვრელ მხარეთა მოქმედების მაკოორდინირებელი სამუშაო ორგანო

ხელშემკვრელ მხარეთა მიერ მოცემული შეთანხმების შესრულების მიმდინარეობისადმი მეთვალყურეობას, მათი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების წინადადებათა შემუშავებას, საკითხთა შეთანხმებას, მოცემული ხელშემკვრულების მიზნების მისაღწევად ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას ახორციელებს მუდმივმოქმედი სამუშაო ორგანო, რომლის სტატუსსა და ფუნქციებს ცალკე განსაზღვრავენ ხელშემკვრელი მხარეები.

მუხლი 3

ბაჟი, აგრეთვე გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებსაც მისი ეკვივალენტური მოქმედება და რაოდენობრივი შეზღუდვები ახასიათებს

1. ხელშემკვრელი მხარეები არ იყენებენ ბაჟს, აგრეთვე იმ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებსაც ახასიათებს მისი ეკვივალენტური მოქმედება და რაოდენობრივი შეზღუდვები იმ საქონლის შეტანაზე და/ან გატანაზე, რაც წარმოებს ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან და გათვალისწინებულია სხვა ხელშემკვრელ მხარეთა საბაჟო ტერიტორიისათვის.

2. ხელშემკვრელ მხარეთა შორის ვაჭრობაში მოცემული შეთანხმების მათთვის ძალაში შესვლის მომენტიდან არ მოხდება იმპორტი და/ან ექსპორტის რაოდენობრივი და საგარიფო შეზღუდვები და ეკვივალენტური მოქმედების ღონისძიებათა განხორციელება.

ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც იყენებენ მოცემული მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული რეჟიმიდან მოხსნას, მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან თორმეტი თვის ვადაში ორმხრივ საფუძველზე ათანხმებენ მათ ეგაპობრივ გაუქმებას, და ამის შესახებ აცხადებენ სამუშაო ორგანოს და მოცემული შეთანხმების დეპოზიტარს.

3. მოცემული შეთანხმების მიზნებისათვის რაოდენობრივ შეზღუდვებსა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებში იგულისხმება ნებისმიერი ღონისძიება, რომლის გამოყენება მაგერიალურ დაბრკოლებას უქმნის ან მზღდავს საქონლის იმპორტს, რომელიც ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან წარმოებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ანდა საქონლის ექსპორტს, რომელიც ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან წარმოებს მეორე ხელშემკვრელი მხარის

გერიგორიაზე, მათ შორის კვოტირება, ლიცენზირება, ფასებისადმი ან მიწოდების სხვა პირობებისადმი კონტროლი, სხვა საგანგებო მოთხოვნები ექსპორტისა ან იმპორტისადმი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზღუდავს ექსპორტის ან იმპორტის უფლებებს ანალოგიური საქონლის იმ გამყიდველის ან მყიდველის უფლებებთან შედარებით, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გერიგორიაზე და ახორციელებს ყიდვას ან გაყიდვას ამ გერიგორიაზე, მოცემული მუხლის დებულებები გამოიყენება იმგვარად, რომ ზიანი არ მიაღვეს ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ იმ ღონისძიებათა გამოყენების უფლებას, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული შეთანხმების 14 და 15 მუხლებით, აგრეთვე ღონისძიებებისა, რომლებსაც ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე იყენებს, რათა შეასრულოს სხვა საერთაშორისო შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებანი.

მუხლი 4

ტექნიკური და სხვა სპეციალური მოთხოვნები (შებლუდვები)

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს იმ საქონელს, რომელიც ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი მხარის საბაჟო გერიგორიიდან შემოდის და იმპორტირებულია მის გერიგორიაზე, იმის არანაკლებ რეჟიმს, რომელიც გამოიყენება ეროვნული საქონლის ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის საქონლის მიმართ იმ თვალსაზრისით, რაც ეხება ტექნიკურ მოთხოვნებს და ხარისხისადმი მოთხოვნებს.

2. მოცემული მუხლის 1 პუნქტის დებულებები გამოიყენება იმგვარად, რომ ზიანი არ მიაღვეს ღონისძიებებს, რომლებიც ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განახორციელოს იმ მიზნით, რათა შეასრულოს შეთანხმებები გამოცდების შედეგების ხარისხის სერტიფიკატების ურთიერთგამოყენების შესახებ და სხვა ამგვარი შეთანხმებანი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ან სავარაუდო საფრთხე ემუქრება ადამიანების ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

3. ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ და ინფორმაციას ცვლიან სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დარგში ვაჭრობაში ტექნიკური დაბრკოლებებისა და სხვა სპეციალური მოთხოვნების (შებლუდვების) გაუქმების მიზნით.

მუხლი 5

საქონლის შეგანა-გაგანასთან დაკავშირებული მოსაკრებლები და ფორმალობანი

1. ყველა მოსაკრებელი და გადასახდელი (გარდა ბაჟისა, გადასახადებისა და მათთან გათანაბრებული მოსაკრებლებისა), რომლებსაც ხელშემკვრელი მხარეები აწესებენ ურთიერთვაჭრობაში საქონლის შეგანასთან ან გაგანასთან დაკავშირებით, არ უნდა აღემატებოდეს პირდაპირი ფაქტობრივი დანახარჯების გონივრულ ფარგლებს.

2. ხელშემკვრელი მხარეები სამუშაო ორგანოს აცნობენ ყველა მოსაკრებელსა და გადასახდელის შესახებ და ეცდებიან ურთიერთშეთანხმებით შეამცირონ მათი რაოდენობა და სიდიდე.

3. ხელშემკვრელი მხარეები ეცდებიან აღმინისგრაციულ ფორმალობათა გამარტივებას და უნიფიკაციას.

4. მოცემული მუხლის დებულებები ვრცელდება, კერძოდ, მოსაკრებლებსა და ფორმალობებზე, რომლებიც ეხება:

რაოდენობრივ შეზღუდვებს;

ლიცენზირებას;

სავალუტო კონგროლს;
სტატისტიკურ აღრიცხვას;
ლოკუმენტებს, ლოკუმენტაციებისა და ლოკუმენტების დამოწმებას;
ანალიზსა და დათვალიერებას;
კარანტინს, სანიტარიულ სამსახურს, ფუმიგაციასა და საქონლის შეგანა-
გაგანასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს.

მუხლი 6

საბაჟო პროცედურების უნიფიკაცია და/ან ჰარმონიზაცია

1. ხელშემკვერელი მხარეები განახორციელებენ საბაჟო ფორმალობათა მაქსიმალური გამარტივებისა და უნიფიკაციის ღონისძიებებს, კერძოდ, იმ გზით, რომ შემოიღებენ საბაჟო და საქონლის თანმხლები ლოკუმენტაციის ერთიან ფორმებს, ამასთან, გაითვალისწინებენ მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებსა და მორიგებებს.

2. ხელშემკვერელი მხარეები თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს დაავალდებენ მოამზადონ წინადადებები, რომლებიც ეხება საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაციას და საბაჟო ლოკუმენტების ურთიერთაღიარებასა და საბაჟო უზრუნველყოფას.

3. ხელშემკვერელი მხარეები ახორციელებენ თავისუფალი სავაჭრო ზონის საზღვრების გადამკვეთი საქონლისა და საგრანსპორტო საშუალებების აღრიცხვასა და საბაჟო კონგროლისა და გაფორმების წესს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 7

სასაქონლო ნომენკლატურები

საგარიფო და არასაგარიფო რეგულირების ღონისძიებათა განხორციელებისას, სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებისას და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლისას, აგრეთვე საბაჟო კონგროლისა და გაფორმების მიზნით, ხელშემკვერელი მხარეები გამოიყენებენ იმ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს საქონლის აღწერისა და კოდირების 1996 წლის ჰარმონიზებული სისტემა. ამასთან საკუთარი საჭიროებისათვის ხელშემკვერელი მხარეები ახდენენ ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურებისა შემდგომ განვითარებას.

მუხლი 8

შიდა გადასახადები და ფისკალური ხასიათის სხვა მოსაკრებლები

1. ხელშემკვერელი მხარეები პირდაპირ ან არაპირდაპირ არ დაბეგრავენ სხვა ხელშემკვერელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან შემოსულ საქონელს გადასახადებით, ფისკალური ხასიათის მოსაკრებლებით იმ ოდენობით, რომელიც აღემატება ეროვნული საქმისათვის გათვალისწინებულ ღონეს. ამასთან, საქონელს ენიჭება არანაკლებ სასიკეთო რეჟიმი, ვიდრე ის, რომელიც ენიჭება ანალოგიურ ადგილობრივ საქონელს იმ თვალსაზრისით, რაც ეხება შიდა ბაზარზე მათ გაყიდვასთან, გასაყიდად მიწოდებასთან, შესყიდვასთან, გრანსპორტირებასთან, განაწილებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა კანონს, წესსა და მოთხოვნას.

2. ხელშემკვერელი მხარეები წარმოადგენენ სრულ ინფორმაციას ყველა მოქმედი გადასახადისა და ფისკალური ხასიათის სხვა მოსაკრებლების შესახებ.

მუხლი 9

არაპირდაპირი გადასახადების გამოყენების წესი

1. ურთიერთვაჭრობაში ხელშემკვრელი მხარეები არაპირდაპირი გადასახადებით (დღგ, აქციზი) არ ბეგრავენ ერთი ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი საბაჟო ტერიტორიაზე ექსპორტირებულ საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას).

2. მოცემული მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული დებულება ნიშნავს ექსპორტის ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის დღგ-ით და აქციზებითა ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრას. მოცემული შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებში, რომლებშიც ეროვნული კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დღგ-ით და აქციზებით ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა. გამოიყენება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დღგ-საგან და აქციზებისაგან გათავისუფლება.

მუხლი 10

სუბსიდიები

1. ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ არ მისცენ საექსპორტო და სხვა სუბსიდიები თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებს, თუ ასეთი სუბსიდიების მიცემის შედეგად ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობები.

2. ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ სუბსიდიების მიცემასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გამჭვირვალობას ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის თხოვნით ინფორმაციის გაცვლის გზით.

3. სამუშაო ორგანო ახორციელებს იმ სუბსიდიების გამოყენებასთან დაკავშირებული სიტუაციისადმი მეთვალყურეობას, რომელიც განსხვავდება ექსპორტის სახელმწიფო ხელშეწყობისაგან და ამუშავებს საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე მათი გამოყენების რეგლამენტირების წესებს.

4. თუ ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე მიიჩნევს, რომ სუბსიდიების გამოყენების პრაქტიკა შეუთავსებელია მოცემული მუხლის 1 პუნქტთან, მას შეუძლია განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი მოცემული შეთანხმების 15 მუხლში ჩამოყალიბებული პირობებისა და პროცედურის თანახმად.

მუხლი 11

გრანზიტი

1. ხელშემკვრელი მხარეები ეთანხმებიან იმას, რომ თავისუფალი გრანზიტის პრინციპის დაცვა მოცემული შეთანხმების მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობა და შრომის საერთაშორისო განაწილების და კოოპერირების სისტემაში მათი ჩართვის პროცესის არსებითი ელემენტია.

2. საგრანზიტო გადაზიდვა არ უნდა განიცდიდეს უსაფუძვლო შეფერხებას ან შეზღუდვას.

3. ყოველი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გრანზიტი ხორციელდება იმ გზებით თავისუფალი გრანზიტის პრინციპის საფუძველზე, როლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო საგრანზიტო გადაზიდვისათვის. სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან საგრანზიტო გადაზიდვისათვის, რაიმე განსხვავების ან დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც დაკავშირებულია გემების დროშასთან, წარმოშობასთან, გაგზავნის, შესვლის,

გამოსვლის ან დანიშნულების ადგილთან ან რაიმე სხვა გარემოებასთან, რომელიც ეხება საქონლის, გემის ან სხვა საგრანსპორტო საშუალების კუთვნილებას.

4. გრანზიგის პირობები, მათ შორის ყველა სახეობის გრანსპორტის გადაზიდვისა და მომსახურების გაწევის გარიფების ჩათვლით, განისაზღვრება ევროკავკასია-აზიის დერეფნის განვითარებისათვის საერთაშორისო გრანსპორტის შესახებ 1998 წლის 8 სექტემბრის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმებით.

მუხლი 12 რეექსპორტი

1. არც ერთი ხელშემკვრელი მხარე არ დაუშვებს იმ საქონლის არასანქციონირებულ რეექსპორტს, რომელთა ნუსხებსაც ხელშემკვრელი მხარეები შემდგომში გაცვლიან, და რომელთა ექსპორტის მიმართაც სხვა ხელშემკვრელი მხარეები, რომელთა ტერიტორიიდანაც მოდის ეს საქონელი, იყენებენ საგარიფო და/ან არასაგარიფო რეგულირების ღონისძიებებს. ამასთან ხელშემკვრელი მხარეები გაცვლიან იმ ორგანიზაციათა სახელწოდებებს, რომლებიც მათი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი არიან მოახდინონ საქონლის რეექსპორტის სანქცირება.

2. ხელშემკვრელი მხარეები ხელს არ შეუშლიან სამეურნეო სუბიექტებს შეიტანონ კონტრაქტებში საქონლის რეექსპორტთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 13 საწარმოო კოოპერაცია და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ საწარმოო კოოპერაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას სახელმწიფოთაშორის (დარგთაშორის, რეგიონალურ) დონეზე და სამეურნეო სუბიექტების დონეზე, მათ შორის სხვადასხვაგვარი ფორმის სახელმწიფო მხარდაჭერის გზით.

მუხლი 14 გამონაკლისები

1. ზოგადი გამონაკლისები

მოცემული შეთანხმება ხელს არ უშლის ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის უფლებას განახორციელოს საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული სახელმწიფო რეგულირების ის ღონისძიებანი საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში, რომლებსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს თავისი საარსებო ინტერესების დასაცავად, და რომლებიც უთუოდ საჭიროა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესასრულებლად, რომელთა მონაწილე იგი არის ან აპირებს გახდეს, თუ ეს ღონისძიებები არ გამოიყენება თვითნებურად ან დისკრიმინაციული მიზნით და ეხება:

სამზოგადოებრივი მორალის და სამზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

აღამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას;

ცხოველთა და მცენარეთა დაცვას;

გარემოს დაცვას;

მხატვრული, არქეოლოგიური და ისტორიული ღირებულებების დაცვას, რომლებიც ეროვნულ კუთვნილებას შეადგენენ;

სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას;

ოქროთი, ვერცხლით ან სხვა ძვირფასი ლითონებითა და ქვებით ვაჭრობას;
შეუესებადი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას;
პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვას, როცა ამ პროდუქციის შიდა ფასი მსოფლიო
ფასზე ნაკლებია მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამათა განხორციელების შედეგად;
საგადაამხდლო ბალანსის დარღვევას.

2. გამონაკლისები უშიშროების მოსაზრებებით.

მოცემულ შეთანხმებაში არაფერი არ უშლის ხელს ნებისმიერი ხელშემკვრელი
მხარის უფლებას განახორციელოს სახელმწიფო რეგულირების ნებისმიერი
ღონისძიება, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს, თუ ეს ღონისძიებები ეხება:

ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას, მათ შორის სახელმწიფო
საიდუმლოებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების
თავიდან აცილებას;

იარაღით, სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალებით ვაჭრობას, სამხედრო
ხასიათის მომსახურების გაწევას, ტექნოლოგიების გადაცემას და შეიარაღებისა და
სამხედრო ტექნიკის წარმოებისა და სხვა სამხედრო მიზნებით მომსახურების გაწევას;

ხლეჩადი მასალებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების წყაროების მიწოდებას,
რადიოაქტიური ნარჩენების უტილიზაციას;

ომის დროს ან საერთაშორისო ურთიერთობაში სხვა საგანგებო
გარემოებებისას განხორციელებულ ღონისძიებებს;

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად გაეროს
წესდების საფუძველზე მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა მოქმედებას.

მუხლი 15

ანგილემპინგური კომპენსაციური და სპეციალური ღონისძიებანი

ხელშემკვრელი მხარეები იმპორტის მიმართ ანგილემპინგური კომპენსაციური
და სპეციალური ღონისძიებების გამოყენებისას იხელმძღვანელებენ ტარიფებისა და
ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (გატგ/მსო-ს) პრინციპებითა და
დებულებებით.

მუხლი 16

საქონლის მიმართ შეთანხმების მოქმედების სფერო

1. თავისუფალი სავაჭრო ზონის რეჟიმი ვრცელდება ხელშემკვრელი მხარის საბაჟო
ტერიტორიიდან წარმომავალ და ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიისათვის
გათვალისწინებულ საქონელზე.

2. მოცემული შეთანხმების მიზნებისათვის ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმების
ხელმოწერის თარიღიდან ექვსი თვის ვადაში შეიმუშავენ ოქმს საქონლის
წარმომავლობის ქვეყნის განსაზღვრის წესების შესახებ, რომელიც მოცემული
შეთანხმების განუყოფელი ნაწილი იქნება.

მუხლი 17

მომსახურება

1. ხელშემკვრელი მხარეები პირობას შეუქმნიან მომსახურების ეროვნული
ბაზრების ლიბერალიზაციას და ნაცვალებების საფუძველზე ეცდებიან თანდათან
გააუქმონ შეზღუდვები, რათა პირობები შეუქმნან თავისუფალი სავაჭრო ზონის

გერიგორიის ფარგლებში თავისუფალ მომსახურებას.

2. ხელშემკვრელი მხარეები განსაზღვრავენ მომსახურების სახეობებს, რომლებზეც ვრცელდება მოცემული მუხლის მოქმედება, გამოჰყოფენ მომსახურების პრიორიტეტულ სახეობებს საქონელბრუნვის უშუალო მომსახურების სფეროში, რომელთა მიმართაც იმპორტისა და ექსპორტის ლიბერალიზაციის საკითხები პირველ რიგში უნდა გადაწყდეს.

3. ხელშემკვრელი მხარეები ინარჩუნებენ უფლებას შეათანხმონ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ საფუძველზე.

მუხლი 18

კონკურენცია სამეწარმეო საქმიანობაში

ქვემოთ ნახსენები შეუთავსებელია მოცემული შეთანხმების სათანადო შესრულებასთან იმდენად, რამდენადაც ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ვაჭრობაზე თავისუფალი სავაჭრო ზონაში:

ყველა შეთანხმება საწარმოებს, საწარმოთა ასოციაციებს შორის, რომელთა შემთანხმებლური პრაქტიკა მიზნად ისახავს კონკურენციის გაუქმებას, თავიდან აცილებას, შეზღუდვას ან დამახინჯებას, ან წარმოადგენს ამის შედეგს:

ერთი ან მეტი საწარმოს მიერ უპირატესი მდგომარეობის გამოყენება თავისუფალი სავაჭრო ზონის გერიგორიაზე მთლიანად ან მის არსებით ნაწილში.

მუხლი 19

სახელმწიფო შესყიდვები

ხელშემკვრელი მხარეები პირობებს შეუქმნიან არადისკრიმინაციისა და ნაცვალგების საფუძველზე სახელმწიფო შეზღუდვების ეროვნული ბაზრების ლიბერალიზაციას.

მუხლი 20

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

1. ხელშემკვრელი მხარეები განახორციელებენ და უზრუნველყოფენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ეფექტიან და არადისკრიმინაციული აღეკვამურ დაცვას, მათ შორის ამ უფლებათა მინიჭებისა და რეფორმირების ღონისძიებებს მათი დარღვევის, გაყალბების ან მეკობრეობის წინააღმდეგ.

2. ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლობენ ინტელექტუალური საკუთრების დარგში და, ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით მოაწვობენ კონსულტაციებს ექსპერტთა ღონებზე ამ პრობლემების შესახებ, განსაკუთრებით ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჰარმონიზაციის, მართვისა და განმკვიცების შესახებ საერთაშორისო კონვენციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობის, აგრეთვე ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დარგში ნებისმიერ მესამე ქვეყანასთან ხელშემკვრელი მხარის თანამშრომლობის მიმართ.

მუხლი 21

დავის გადაწყვეტის წესი

1. ხელშემკვრელი მხარეები განახორციელებენ მოცემული შეთანხმების თანახმად ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ყველა ღონისძიებას.

2. მოცემული შეთანხმების 15 მუხლის დებულებებისათვის მიანის მიუყენებლად იმ შემთხვევაში, თუ ერთი ხელშემკვრელი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე ხელშემკვრელი მხარე არ ასრულებს მოცემული შეთანხმების თანახმად ნაკისრ თავის ვალდებულებებს, და იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებათა ასეთი შეუსრულებლობა მიანს აყენებს ან მიანის მიყენებით ემუქრება პირველი ხელშემკვრელი მხარის ეკონომიკურ ინტერესებს, მას შეუძლია მოთხოვოს ასეთ მეორე ხელშემკვრელ მხარეს კონსულტაციები, რომლებიც გაიმართება ორივე ხელშემკვრელი მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების ძიების მიზნით წერილობითი შეგვობინების თარიღიდან ორი თვის ვადაში. შესაბამისი მოთხოვნის ასლი ეგზავნება მოცემული შეთანხმების ყველა სხვა ხელშემკვრელ მხარეს, და ნებისმიერ მათგანს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ მოცემული პუნქტის პირველ წინადადებაში ნახსენები გარემოებანი მის ინტერესებს ეხება, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონსულტაციებში.

წერილობით მოთხოვნას თან ერთვის პრობლემის არსთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მუხლის 2 პუნქტში ნახსენები კონსულტაციების დროს ხელშემკვრელი მხარეები ვერ მიაღწევენ პრობლემის ურთიერთმისაღებ გადაჭრას, კონსულტაციების შესახებ თხოვნის გამგზავნ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს ხელშემკვრელ მხარეთა უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული დავა გადაჭრას იმ სპეციალური შემთავსებლური პროცედურის ფარგლებში, რომელსაც სამუშაო ორგანო შესთავაზებს შეგვობინების მიღების თარიღიდან 30 დღის განმავლობაში (დავის მასალების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფების შექმნის გზით)

4. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მუხლის 2 პუნქტში ნახსენები კონსულტაციების დროს და მოცემული მუხლის 3 პუნქტში ნახსენები სპეციალური პროცედურის შედეგად, ხელშემკვრელი მხარეები ვერ მიაღწევენ პრობლემის ურთიერთმისაღებ გადაჭრას, კონსულტაციების შესახებ თხოვნის გამგზავნ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს არ შეასრულოს მოცემული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებანი ვაჭრობის დაახლოებით ექვივალენტური მოცულობის მიმართ ან განახორციელოს სხვა ღონისძიებანი, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს ეროვნული ეკონომიკის მართვის თავიდან ასაცილებლად. ასეთ ღონისძიებათა შერჩევასა უპირატესობა უნდა მიენიჭოს მათგან ისეთებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არღვევს მოცემული შეთანხმების მოქმედებას. ასეთ ღონისძიებათა გამოყენება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, როგორც კი გაუქმდება მეორე ხელშემკვრელი მხარის გადაწყვეტილებები, რომელთა შედეგადაც ისინი შემოიღეს.

5. მოცემული მუხლის დებულებები არანაირად ხელს არ უშლის ხელშემკვრელ მხარეებს მათ შორის წამოჭრილი დავა გადაჭრან საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პროცედურების ფარგლებში.

მუხლი 22

მოცემული შეთანხმების დამოკიდებულება ხელშემკვრელ მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობებთან

1. მოცემულ შეთანხმებაში არაფერი არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ ხელს

უმლიდეს ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეასრულოს იმ რომელიმე სხვა საერთაშორისო შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებები, რომლის მონაწილეც ეს ხელშემკვრელი მხარე არის ან იქნება.

მოცემული დებულება არანაირად არ ეხება ხელშემკვრელი მხარის უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს იმ სახელმწიფოს მიმართ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის რეჟიმი, რომელიც არ არის მოცემული შეთანხმების მონაწილე.

3. მოცემული შეთანხმების დებულებები არ ეხება ხელშემკვრელი მხარის უფლებებსა და უპირატესობებს, რომლებსაც ხელშემკვრელი მხარეები ანიჭებენ ეკონომიკური გაერთიანების, სამღვრის პირა ვაჭრობის, განვითარებადი ქვეყნების, თავისუფალი ეკონომიკური თუ საბაჟო ზონების პრეფერენციების ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება შიდა კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებებით.

მუხლი 23

მოცემული შეთანხმების დამოკიდებულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშემკვრელ მხარეთა ორმხრივ შეთანხმებებთან

სუუამის მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოქმედი ორმხრივი შეთანხმებები გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი დებულებები შეესაბამება მოცემული შეთანხმების დებულებებს.

მუხლი 24

ცვლილებები და დამატებები

ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთთანხმობით მოცემულ შეთანხმებაში შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეგანა, რომლებიც უნდა გაფორმდეს იმ ოქმების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს მოცემული შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მოცემული შეთანხმების 25 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 25

ძალაში შესვლა

1. მოცემული შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვრელ მხარეთა მიერ ყველა საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულების შესახებ მეორე შეტყობინების დეპოზიტარისათვის ჩაბარების თარიღიდან.

2. მოცემული შეთანხმების დეპოზიტარი არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება.

მუხლი 26

მიერთება

1. მოცემულ შეთანხმებას სუუამის მონაწილე სახელმწიფოთა თანხმობით შეუძლია მიუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს სუუამის მიზნებსა და პრინციპებს, აგრეთვე მოცემული შეთანხმების დებულებებს, რომლებიც მოქმედებს მიერთების მომენტისათვის, და გამოხატავს მზადყოფნას სრული მოცულობით შეასრულოს ისინი.

2. მიერთება ხორციელდება მიერთების მსურველ სახელმწიფოსთან ცალკე

შეთანხმებით (ოქმით) განსაზღვრული პირობებითა და წესით, რომელიც წინასწარ არის შეთანხმებული და რომელიც უნდა მოიწონოს ყველა ხელშემკვრელმა მხარემ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 27

შეთანხმებაში მონაწილეობის შეწყვეტა

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმებაში თავისი მონაწილეობა, თუ შეთანხმებიდან გამოსვლის განზრახვის შესახებ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას გაუგზავნის დეპოზიტარს გამოსვლამდე სულ ცოტა ექვსი თვით ადრე.

2. თუ ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე დაარღვევს მოცემული შეთანხმების დებულებებს, რითაც სერიოზულ ზიანს მიაყენებს მისი მიზნების მიღწევას, სხვა ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ ასეთი ხელშემკვრელი მხარის მიმართ განახორციელონ ღონისძიებანი შეთანხმების ან შეთანხმების ცალკეული დებულებების მოქმედების შეჩერების გზით.

3. შესაძლო დავის და პრეტენზიების, მათ შორის მაგერიალური ხასიათის პრეტენზიების გადაჭრის მიზნებისათვის მოცემული შეთანხმების დებულებანი განაგრძობს მოქმედებას მონაწილეობის შემწყვეტი ხელშემკვრელი მხარის მიმართ ყველა მოთხოვნის სრულ მოწესრიგებამდე.

შესრულებულია ქალაქ იალგაში 2002 წლის 20 ივლისს ერთ ნამდვილ ეგზემპლარად ინგლისურ და რუსულ ენებზე, ამასთან: ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ნამდვილი ეგზემპლარი ინახება დეპოზიტართან, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს გაუგზავნის დამოწმებულ პირებს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით
საქართველოს სახელით
მოლდოვის რესპუბლიკის სახელით
უკრაინის სახელით